№ 94 მაისი 6, ხუთშაბათი — 1893 — მაისი 6, ხუთშაბათი № 94

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8 მაისს**

ამ ნომერთან ერთად ეგზავნებათ ქალაქის ხელის-მომწერთ სია ხმოსანთა კანდიდატებისა.

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 მაისიდამ წლის დამლევამდე, ფასი 7 მან. 25 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ხუთშაბათს, 6 მაისს, ტფილისის სობრანიის საზაფხულო შენობაში (მიხეილის ქუჩა) ღარიბთა სასარგებლოდ ლიუტერანთა ქველმოქმედ საზოგადოების ქალთა დასის მიერ გამართულ იქმნება ლატარია. დასაწყისი 4 საათზედ. დაუკრავს ორი ხორო სამხედრო მუსიკასა. ლატარიაზე შესვლის ფასი 10 კ.

ტფილისი, 5 მაისი

ამ ჟამად მთელს ევროპას სალაპარაკოდ მხოლოდ გერმანიადა აქვს. ახალგაზდა იმპერატორმა დაითხოვა ურჩი რეიხსტაგი, რომელმაც უარი უთხრა მთავრობას, ჯარის მომატების უფლებას ველარ მოგცემ, ერი მომეტებულს ხარჯს ველარ აიტანს და იკმარე ის, რაც აქამდისინ იყოვო.

იმპერატორის და რეიხსტაგის შეხლა-შეტაკება უბრალო ჭიდილი და ბრძოლა როდია; სასიკვდილოდ ან ერთი დაიჭრება, ან მეორე. თუ გამარჯვება საბოლოოდ რეიხსტაგს დარჩა, ეს იმის ნიშანი იქმნება, რომ ბოლო მოეღება ერის კეთილ-დღეობის დამთრგუნველს მილიტარიზმს, რომელიც ასე უწყალოდ აქრობს და ადნობს შრომის მოყვარე და დიდად განვითარებულ გერმანელის ნაშრომ-ნაღვაწს.

მარტო ამით არ დასრულდება სიდიადე რეიხსტაგის მხნე და მამაცურ ბრძოლისა; მისი გამარჯვება ბოლოს მოუღებს, პირქვე დაამხობს ყბად-აღებულს მილიტარიზმს მთელს ევროპაში, რომელმაც ამდენი ვნება და ზარალი მოუტანა. მაშინ ევროპა თავისუფლად ამოისუნთქებს, მუშტზე აღარ დაიწყებს ცქერას, ყველა სადავიდარაბო საქმეს გონივრულის თვალით შეჰხედამს და, საითაც სიმართლის სასწორი გადაიხრის, ის მხარე გაიმარჯვებს. ევროპიელნი პატიოსნურად შეეჭიშპებიან მაშინ ერთმანეთს თოფ-ზარბაზნების გაუკეთესობაში-კი არა, არამედ კულტურის წარმატებაში. ის აუარებელი მილიონები, რომელიც ეხლა ჯარებს უნდება, მოხმარდება ხალხს, განათლებას, მრეწველობას და ამ გვარად ევროპის პროგრესი უფრო სწრაფის ნაბიჯით წავა წინ, ვიდრე ეხლაა.

ახალი რეიხსტაგი შეიკრიბება თიბათვეში. თუ ახალი დეპუტატნიც ურჩნი გამოდგნენ, ცხადი იქნება, რომ გერმანია იწუნებს თავის იმპერატორის სისტემას. იმპერატორი თავ-დაუჭერელი ახალგაზდა კაცია, მუქარას უთვლის ერს, მეორე რეიხსტაგსაც დავითხოვ, თუ ჩემს სურვილზე არ გაივლისო. მაგრამ როდემდის?

რეიხსტაგის სახელგანთქმულმა ორატორებმა რიხტერმა და ბებელმა პირდაპირ უთხრეს გრაფ კაპრივის: ხმა დადის, ვითომ მთავრობასა სურს, შეეხოს თვით გერმანიის კონსტიტუციას, არჩევანების უფლება შეზღუდოსო. ეს გზა საშიში იქნებაო, განაცხადეს ორატორთ. მეზობელ ბელგიის მაგალითით ჭკუა ისწავლეთ, აღელვებულს ხალხს, ვინ იცის, რა არ შეუძლიანო. უფრო ადვილია ხალხს უფლება სულ არ მიანიჭოთ, ვიდრე ჯერ მიანიჭოთ და მერე ისევ წაართვათო,—სთქვა ბებელმა, მერე წაართვათ ის, რითაც აგ 20 წელიწადია სტკბება გერმანიაო. ამ უფლების (ესე იგი, საარჩევანო უფლების) წართმევა პირდაპირ რევოლიუციას გამოიწვევსო. რიხტერმა ხომ გულჩათუთქულ კაპრივს სულ მწარე აბები აყლაპა. სამხედრო კაცებს ვერ ვანდობთ სახელმწიფოს გამგეობას, იმათა ჰგონიათ, რა-კი ბლომად გამოწკიპული სალდათები და ბრწყინვალე გენერლობა გვეყოლება, მორჩა და გათავდა, ქვეყანა დაცულია, საშიშროება აღარსაიდამ აღარ მოგველისო; ის-კი ავიწყდებათ, რომ კოხტად მოკაზმული ჯარის კაცი, თუ დედმამა და და-ძმანი შიმშილით ეხოცება, ამოღებულს ხმალს მალე ქარქაშში ჩააგებს და ასე გულმოკლული თავის მშობელის უბედურობით და წვა-დაგვით გულდადებით და სიყვარულით ველარ იჯარისკაცებსო.

ოცი წელიწადია, გერმანია ჯარს უმატებს, აუარებელ ხარჯსა სწევს; სურს უსათუოდ შეირჩინოს პირველი ადგილი, რომელიც ისტორიამ აკუთვნა ფრანგების დამარცხების შემდეგ. ესა აქვს აზრად ახალს სამხედრო კანონს, რომელიც უარ-ჰყო ძველმა რეიხსტაგმა. წელიწადში ჯარს ემატებოდა 100,000 სალდათი და ასი მილიონი მარკა ხარჯი. ამ ფულის საშოვნელად ხარჯი უნდა მოემატოს სანოვაგეს და გერმანელის საყვარელს და უმთავრესს სასმელს „პივოს“ ანუ ლუდს. ამის გამო უთხრა რიხტერმა კაპრივს, ტყუილადა გგონიათ, რომ ჩვენ, დეპუტატები, მარტო იმისთვინა ვართ აქა, რომ გიჩვენოთ, აი დაუშრეტელი წყარო, ინებეთ, რომელნიც გნებავთო.

ზემო ნათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ აწინდელი ბრძოლა რეიხსტაგისა არის რეაქცია თავ-გასულის და უმწვერვალესობამდე მისულის მილიტარიზმისა.

მაშასადამე, დამარცხება რეიხსტაგისა უფრო გააძლიერებს მილიტარიზმს და რამდენისამე ხნით დააგვიანებს ამ ცივილიზაციასა და პროგრესის დაუძინებელის მტერის დათრგუნვას.

ისკანდერ

## ახალი ამბავი

*** გუშინდელმა ტფილისის ქალაქის საბჭოს კრებამ, იმას გარდა, რაც გუშინდელს ნომერში გვქონდა მოხსენებული, დაამტკიცა აუცილებელი ხარჯი საჭირო ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის—3642 მან. რაიცა შეეხება იმ ხარჯს, რომელიც საჭირო იქნება, უკეთუ წელსაც შარშანდელივით გაძლიერდა ხოლერა, და რომელიც, სანიტართა აზრით, უნდა იყოს 17,060 მან., ხოლო გამგეობის ფიქრით, 14,770 მან., საბჭომ გადასწყვიტა: ეგ ხარჯი ახალმა, ჩვენს შემდეგ ამორჩეულმა საბჭომ დაამტკიცოსო.

*** ჩვენ მივიღეთ კნ. სოფიო ნიკოლოოზის ასულის მიქელაძისაგან 3 მან. სალიტერატურო ფონდისათვის და 3 მან.—კახეთში დამშეულთათვის. სალიტერატურო ფონდისა იყო 95 მან. 20 კაპ. სულ შესდგა 98 მან. 20 კაპ. კახეთის დამშეულთათვის-კი იყო 75 მან. და სულ შესდგა 78 მან.

*** 4 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე აზნ. კვაჯი უჩანას ძის მარღანიასი, რომელსაც 1891 წელს ქუთაისის ოლქის სასამართლომ ყოველივე ღირსების ახდა და ცხრა თვე ციხე მიუსაჯა. პალატამ ბრალდებული სრულებით უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

*** ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა ჩვენში კალიის გასაწყვეტად. თითქმის ყველგან გლეხ-კაცობა გამოყვანილია სამუშაოდ. ამიერ-კავკასიის რკინის გზას ეთხოვა, რომ კალიის მუშები უსასყიდლოდ ატაროს გზამ. მუშა-ხალხი ბევრია წასული უფრო ყარაიაზისაკენ. იალღუჯას მუშებმა გასწყვიტეს ჯერ ისევ კუტი, დაუფრთიანებელი კალია თითქმის 200 დღიურის სივრცეზე. კუტი კალია ბევრია ეხლა ავჭალისკენ, დიღმისკენ, მუხრანისა და კავთისხევისაკენ, საცა ზემო-ქართლიდამ ჩამოყვანილი ხალხი მუშაობს მის გასაწყვეტად. კალია ჯერ საშიში არ არის, მაგრამ, დაფრინდება თუ არა, დიდს ზარალს მისცემს ჯეჯილებს. ფრთიანი კალია უფრო ღამ-ღამობით იჩენს თავის უნარს და ერთს ღამეს შეუძლიან სულ მოსძოვოს და გაახრიოს ჯეჯილი და ნათესობა. ყარაიაზისკენ მრავლად გაჩენილა ტარბი, რომელიც საშინლად ხოცავს კალიას.

*** თითო ოროლა მომრიგებელი შუაკაცნი ტფილისის გუბერნიისა თავთავიანთს რაიონებში არა სცხოვრობდნენ, რის გამო, როგორც მებატონენი, აგრეთვე გლეხკაცობა შეწუხებულნი იყვნენ მომრიგებელ შუაკაცის შორს ყოფნით. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება მთავარმართებელმა და ტფილისის გუბერნატორს აუწყა, სასურველია ასეთი უხერხულობა მოისპოს და მომრიგებელ შუაკაცებს დაუნიშნოთ თქვენის უფლებით საცხოვრებლად ისეთი ადგილები, სადაც უფრო ეადვილებათ მისვლა მთელის რაიონიდან, როგორც მებატონეთ, აგრეთვე გლეხობასაო.

ეს წინადადება ბ-ნს მთავარ-მართებელისა განიხილა ტფილისის საგლეხო საკრებულომ და დაადგინა: თე-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის.

მადა განდიდებისა.—აუტანელი ყოფა ჩვენთა „გმირთა“.—კაცები არიან თუ კაცუნები?

ერთმა ჩემმა თანამეკალმემ ჩინებულად გადათარგმნა mania grandiosa ქართულად—„მადა განდიდებისაო“. ღმერთმა თქვენს მტერსაც აშოროს ის სულის ავადმყოფობა, რომელსაც ექიმები უწოდებენ mania grandiosa. ჩვენში ამ სენმა ისე დაგვრია ხელი, რომ მგონი ყოველი მკითხველი ათობით ჩამოსთვლის ნაცნობებს, რომელნიც თავიანთ ქერქში ველარ მოთავსებულან და ეპოტინებიან მანტიას ანუ ძლიერ გამოჩენილის მეცნიერისას, ანუ სახელოვანის პედაგოგისას, ანუ ლვაწლით შემოსილის საზოგადო მოღვაწისას, პოეტისას, პუბლიცისტისას, მხედრისას და სხვათა. აგერ თუნდ, ფილიმონე. ყმაწვილობაში ძლიერ მისდევდა სამეცნიერო ამბებს. თუმცა ნიჭით მაგდენს არას წარმოადგენდა, მაგრამ ხალისი ჰქონდა სამეცნიერო წიგნების კითხვისა, მეტადრე ვარსკვლავთ-მრიცხველობას ეტანებოდა. მართალია, იმას თავის სიცოცხლეში არ უნახავს ტელესკოპი, მაგრამ მისი აწერილობა ძლიერ კარგად ჰქონდა შეთვისებული წიგნებიდგან. იცოდა სახელები უმთავრესთა მნათობთა ცისათა. კიდეც გაჩვენებდათ მოწმენდილ ღამეში, რომელი ვარსკვლავი ანუ პლანეტი რა ადგილზედ არის, და სხვა ამისთანები. ვიდრე ფილიმონე სამეცნიერო ამბების გაგებაში იყო გართული, კაი მოგეცეთ, კარგი საცნობი კაცი ის იყო. შეგეძლოთ მასთან მუსაიფი ამ მთისა, იმ მთისა, გულს გააყოლებდით, დროებას გაატარებდით და ზოგჯერ სასარგებლოც იყო თქვენთვის მასთან მუსაიფი—გაიგებდით რასმე ახალს. მაგრამ აგერ ერთ მშვენიერ დილას მარცხენა ფეხზედ წამოდგა თქვენი ფილიმონე, მიიღო რაღაც ამაყი გამომეტყველება და ახლა „ცა ქუდად აღარ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად“, ნაცნობებს თითქო აღარ იცნობს, ათჯერ რომ ქუდი მოუხადო, ერთხელ სალამს აღარ გაღირსებს. დადის ერთი გაბუებული, გაბუტული. რა ამბავია, რა დაჰმართვია ამ კაცსაო— ეკითხებით თქვენს თავს და ვერ შეგიტყვიათ მიზეზი. თურმე, ნუ იტყვით, საწყალს ფილიმონეს შეჰპარვია ერთ გვარი სენი—მადა განდიდებისა—და ამ ბალღს (გონებით და არა წლოვანებით) წარმოუდგენია, რომ იგი სწორედ შესანიშნავი მეცნიერია, ვარსკვლავთ მრიცხველთა დამამშვენებელი მნათობია, საქართველოს ნიუტონია, რომ ამის გამო ის აღარავის არ გაუყადრებს თავს, თუ არ თავისთანავე ნიუტონებს და, რაკი ნიუტონისთანა მეცნიერი თითო საუკუნეში თითო ძლივს გამოვა, ამის გამო საქართველოს ნიუტონი-ფილიმონე უტოლო და უსწორ-ამხანაგოა ტრიალ დედამიწაზედ, რომელზედაც დასახლებულა წვრილფეხობა და მხოლოდ იგია, ფილიმონე, ერთად-ერთი ბედაური.

ამისთანა სურათის დანახვა ჯერ სიბრალულს მოგგვრით გულში ფილიმონის მიმართ, შემდეგ, რამდენიც თვალს შეაჩვევთ, იმდენი სიბრალულის გრძნობა შეიცვლება მასხარად აგდების სურვილით და ბოლოს, როდესაც მასხარად აგდებაც მოგაბეზრებთ თავს, იქნება სრულებითაც მოიძულოთ საცოდავი ფილიმონე, რომელმაც ვერ გაიგო თავისი ყადრი, ვერ შეიშვნია თავისი ადგილი და პირდაპირ პედესტალზედ შესკუპება მოიწადინა, თუმცა პედესტალის საფეხურთანაც ადგილი არა ჰქონდა.

**

ასეთსავე აუტანელ ყოფაში ჩააგდო თავისი თავი მოცადინე მასწავლებელმა ონისიმემ, რომელიც ერთს დროს, ვთქვათ, ძრიელ ბეჯითად ეკიდებოდა თავის საქმეს დ სინიდისიერად ადევნებდა თვალ-ყურს პედაგოგიას. თქვენ პატივსა სცემდით მის მეცადინეობასა და სინიდისიერებას, მისთვის სიკეთე არა გშურდათ და ყველგან მის კარგსა ჰლაპარაკობდით. მაგრამ აგერ შეადგინა სათითეს ოდენა წიგნაკი ბავშვებისათვის და უცებ, არც აილო—არც დაილო, არც აცივა—არც აცხელა და თავისი თავი წარმოიდგინა საქართველოს კომენსკით. ეხლა-კი განზე, კედლებო! როგორ შეგიძლიანთ მას თვა-

ლავისა, სიღნაღისა, ტფილისისა, ახალ-ციხისა დ გორის მაზრის ორთავე განყოფილების მომრიგებელი შუაკაცნი დასტოვოს თავთავიანთ ძველებურ ადგილებში, ე. ი. ტფილისს, თელავს, სიღნაღს, ახალ-ციხეს, გორსა და სოფელ ხვედურეთს.

დუშეთის მომრიგებელ შუაკაცს დაენიშნოს სამუდამო საცხოვრებლად ქ. დუშეთი, ბორჩალოსას სოფელი შულავერი, ხოლო ბორჩალო—ტფილისის მომრიგებელ შუაკაცს დაენიშნოს ქ. ტფილისი.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ კომიტეტი ქართულ დრამატიულ დასისა გაჰმართავს წარმოდგენებს სცენის მოყვარეთა გამოსაცდელად. პირველი გამოსაცდელი წარმოდგენა უკვე დანიშნულია 9 მაისს, დილის 12 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში. კომიტეტს სულ 26 თხოვნა მისვლია სცენის მოყვარეთაგან.

⁂ ტფილისის სობრანიის გამგეობას საზაფხულოდ მიუწვევია ქართული და სომხური სათეატრო დასები. ეს დასები კვირაში ორს წარმოდგენას გამართავენ.

⁂ ტფილისის ცნობილმა მექარხნემ დავით ზაქარიას ძემ სარაჯიშვილმა გაჰგზავნა პეტერბურგს მომავალ საჰიგიენო გამოფენისთვის თავის ქარხანაში გაკეთებული სხვა და სხვა გვარი სასმელი.

⁂ სახელმწიფო საბჭო მალე გაათავებს განხილვას იმ პროექტისას, რომელიც შავ ზღვის ნაპირის ადგილების დასახლებას შეეხება. განუზრახავთ სამის წლის განმავლობაში გაათავონ ამ ადგილების გამიჯვნა და ყველაზედ უფრო გამოსადეგ და ნოყიერ სახნავ-სათეს მიწაზე რუსეთიდგან გადმოსახლებულნი დაასახლონ.

⁂ თელავი: ქინქლიანი დღეები დაიჭირა 23 აპრილს აქეთ. ბევრის გლეხის ვენახი სრულიად შეუმუშავებელია: არც ბარვა, არც სარვა, არც ყელვა, არც თოხნა არ მიჰკარებიათ. ახლა კვირტი გამოტანილია და ცხადად გამოჩნდა, რომ ძალიან ნაკლებად გამოაქვს კვირტი. მომეტებულად ნაკლებად გამოაქვს საფერავს და მწვანეს. ჯეჯილები მო- ბო[illegible] წვიმებზედ, მაგრამ თხლადაა ამ[illegible]ი და ვერ არის საიმედო, თუმცა გადაწყვეტით არა ითქმის-რა ჯერ-ჯერობით.

⁂ სოფ. ველისციხე (სიღნაღის მაზრა): 27 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მობრძანდა აქ საქართველოს ექზარხოსი ვლადიმირი დ დაათვალიერა ეკლესია, საცა მოისმინა სიტყვა, წარმოთქმული აქაურის მღვდლის მიერ. შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. თვით ექზარხოსმა წაიკითხა დაუჯდომელი ღვთის-მშობლისა. ბოლოს ექზარხოსმა აკურთხა საფლავი ახლად გარდაცვალებულის ადგილობრივის ბლაღოჩინის—მღვდლის ი. ხარიტონიშვილისა, ანუგეშა მისი მოხუცი დედა და მეუღლე და მეორე დღეს, 28 აპრილს, სიღნაღისკენ წაბრძანდა.

⁂ გურზი (ყირიმი): აქ ასზე მეტი მუშა ქართველები ვართ ლუკმა-პურის საშოვრად გადმოხვეწილნი სამშობლო ქვეყნიდამ. ამ დღეებში ჩვენს პატარა ძმობას მოაკლდა ერთი თვისი წევრი ა. ურუშაძე, რომელიც სწორედ გაჭირვების ტალკვესი იყო თავის თანა-მემამულე მუშათათვის. ის იყო მათთვის მოკითხვის წიგნის წამკითხველი და დამწერი, გამამხნევებელი და მანუგეშებელი. თავისუფალს დროს ისვე უკითხავდა ქართულს წიგნებს მუშა ხალხს. ამის გამო ყველას ძლიერ უყვარდა განსვენებული და რუსნიც-კი პატივსა სცემდნენ.

⁂ 19 აპრილს დიდ-წყლობის გამო ცხენი წაუქცა იორში 60 წლის გარეჯელს მოხუცს, ჩავარდა წყალში და დაიხრჩო.

⁂ სოფელს პატარძეულში (ტფილისის მაზრაშია) სრულიად მოისპო ყვავილი.

⁂ თაუზის რკინის გზის სადგურის ახლო 4 მაისს მატარებელმა გასჭყლიტა ერთი ყრუ-მუნჯი დედაკაცი, რომლის ვინაობა ჯერ გაგებული არ არის.

⁂ მაისის 4 მალაკნების ქუჩაზე მადერის სახლებთან იპოვნეს თთვე-ნახევარის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## შორაპნის მაზრა

(წერილი ზესტაფონიდამ)

(დასასრული *)

„მაშ რაღა დაგვრჩენიაო, იკითხავს დანაღვლიანებული მკითხველი, ეს არის დღეს თუ ხვალ გაუწყდება ხალხს ერთად-ერთი ლუკმაო!“ სხვები რას ჰფიქრობენ,—რა მოგახსენოთ, და ჩვენ-კი ამ აზრისა ვართ. ეს ხომ ვიცით, რომ ურემს და ფურგუნს სრულებით განსდევნის რკინის გზა, და ცხენების მუშაობა მხოლოდ მადნებიდამ ჭიათურის რკინის გზის სადგურამდე იქნება საჭირო და ამ მუშაობისათვისაც საკმარისი იქნება სულ მცირეოდენი რიცხვი ჩავლადარ-ცხენებისა. ესეც ხომ დრომდე, თორემ შემდეგ, შეიძლება, ამ მცირეოდენ რიცხვსაც მოესპოს სამუშაო.

ჯერ, საქმის საფუძვლიანად შეგნებისათვის, წარმოვიდგინოთ აქაური ჩავლადარ-მეურმის ყოფა-ცხოვრება და აქედამ ნათლად დავინახავთ, თუ რა უნდა მოელოდეს მას შავქვის მუშაობის მოსპობის შემდეგ. დღეს ერთის ცხენის პატრონი, ჩავლადარი ქვის გადაზიდვის ქირას დღეში ორთა შუა რიცხვით 1 მან. და 50 კაპ. აიღებს. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს ნაწილად თვითოეულს ჩავლადარს ორ-ორი და სამ-სამი ცხენი ჰყავს. პირველ შეხედვით გამოდის, რომ აქაური გლეხი წამოღონიერებული და ოჯახში მორთულ მოწყობილი უნდა იყოს; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. გლეხის ოჯახი საზოგადოდ წარმოადგენს უბუხრო ფიცრულ სახლს, რომელშიაც შენიშნავთ რამდენსამე სამფეხა სკამს და ან ხის გადანაჭერ მორგვებს „ჯორკოებს“, ცოლის ნამზითევ დამტვერიანებულ ფარდაგს, ჭილოფს, რამდენსამე «დაწვირიანებულ“ დაბამბულ საბანს და მიუცილებელ წვრილ-წვრილ ხაპაკხუბაკს. ამ ავლა-დიდების პატრონს ცოლშვილი სანახევროდ ტიტველ შიშველი უყრია არა თუ სახლში—შინაობაში, არამედ გარედაც-კი. ასე წარმოიდგინეთ, თემობაშიაც-კი შეხვდებით ფეხშიშველა ქალებს... თვით სახლის უფროსი, მამა, ხომ ყოველ ცისმარე დღეს, დარში და ავდარში, თავ-ფეხ ტიტველა ეზიდება და ეზიდება შავქვას თავისის ცხენებით იმ იმედითა, რომ დღეს არა, ხვალე წელში გავიმართები და ოჯახს ვუპატრონებო.

„რას უშვრება გლეხი შავ-ქვის გადაზიდვაში აღებულ ფულსაო“, იკითხავს უსათუოდ ზოგიერთი მკითხველი. აქაური გლეხ-კაცი, როგორც მწირის ქვეყნის მკვიდრი, თითქმის ნახევარ წელიწადს ნაყიდ პურითა და სიმინდითა ჰკვებს თავის ცოლ-შვილსა; ნაყიდ ბზე-თივით ინახავს ცხენებს. ახლა სახელმწიფო გადასახადი, ახლა კიდევ მღვდელს, ბატონს, მტერს და მოყვარეს სულ ამ ფულით უნდა გასცეს პასუხი. რაღა დარჩება გლეხ-კაცს?!

წარმოვიდგინოთ, რომ გლეხ-კაცს ცოლ-შვილი ავად გაუხდა (აქ წარმოუდგენელიც არა არის-რა); ის უფულობის გამო ექიმს ვერ მოიწვევს, თუნდა ცხადად ჰხედავდეს დ ჰგრძნობდეს, რომ უწამლობით „იღუპება“, „ოჯახი ექცევა“. არა თუ გლეხ-კაცისათვის, არამედ თავად-აზნაურთათვისაც-კი დიდად საძნელოა სახლში ექიმის მოწვევა, რადგან ეს 17-18 მანეთზე ნაკლებ არ დაუჯდება. როცა ამას ვამბობ, მე მაქვს სახეში, მაზრის შიდა სოფლები, სადაც ან დ. ზესტაფონიდამ უნდა მოიწვიონ ექიმი 20—25 ვერსის სიშორეზე და ან დ. საჩხერიდამ.

უფულობისა და სიღარიბის შედეგია ის გარემოებაცა, რომ შორაპნის მაზრაში, რომელსაც შეადგენს 28 საზოგადოება, მხოლოდ ცხრა საზოგადოებას აქვს გამართული საერო სკოლა. ამავე დროს შორაპნის მაზრაზე გაცილებით მცირე მაზრებს, მაგ. ოზურგეთისა და სენაკისას, მოსავლით-კი უფრო მდიდრებს, აქვთ: პირველს 23 საერო სკოლა, ხოლო მეორეს 15. თუნდა დიდს არა რას მოასწავებს სასოფლო სკოლა ეხლანდელ წეს-წყობილებითა, მაგრამ მაინც გული გიკვდება, როცა ჰხედავ აქ 8-9 წლის ჩავლადარ-ბავშებს. ძალა უნებურად გაიფიქრებ: ნუ თუ ეგრე ჯაფა-წვალებაში უმცა დალიონ სული ამ უმანკო ქმნილებათაო! ნუ თუ იმათაც არა აქვთ ნება ქვეყნის ავ-კარგიანობის შეტყობ-შეგნებისაო!!.

წარვუდგინეთ რა მკითხველს, შეძლებისა გვარად, აწინდელი მდგომარეობა შორაპნის მაზრის მკვიდრთა, ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ სასოწარკვეთას. ჩვენ გვრწამს და ვაღვიარებთ, რომ ჭიათურის რკინის გზა მიწასთან ვერ გაასწორებს აქაურ გლეხ-კაცს, მაგრამ ამასთან ესეც ნამდვილია, რომ დროებით მაინც შეაწუხებს და შეავიწროებს.

გავა დრო, ხალხი შეიგნებს თავისს მდგომარეობას, ილონებს ყოველ ღონეს და კიდევ იმად გახდება, რაც უნდა ყოფილიყო.

დასასრულ, კიდევ ორიოდე სიტყვა. ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ მკითხველს, თუ სურს, საბაბი ეძლევა იფიქროს, რომ ვითომ ჩვენ საზოგადოდ რკიმნის გზის მნიშვნელობას უარ-ვყოფდეთ. მაგრამ ასეთი დასკვნა, ვგონებთ, დაუსაბუთებული იქმნება, რადგან ჩვენ ვილაპარაკეთ მხოლოდ ჭიათურის რკინის გზის გაყვანის დროებით შედეგზე. რა ვუყოთ, ზოგჯერ საზოგადოდ სასარგებლო საქმე რამოდენთათვის სავნებელიცაა, მაგრამ ამითი იმ საქმეს თავისი ელფერი და მნიშვნელობა არ ეკარგება. აქაც ასეა. ერთს ნაწილს შორაპნის მაზრისას ჭიათურის რკინის გზა მხოლოდ დროებითს, მაგრამ საგრძნობელს ზარალს მოუტანს, ხოლო, თუ ამ გზას საჩხერემდე და ს. ჭალამდე გააგრძელებენ, მეორე ნაწილს-კი—საკმაო სიკეთეს. იმ დროს, როცა შავ-ქვიანი და იმათ ახლო მახლო მდებარე სოფლები თავისს ჭირნახულს ვერ მისცემს რკინის გზას, პირ იქით, საჩხერე და ჭალა-კი—საკმაოდ ბევრს, მაგალითად: სიმინდს, პურს, ღვინოს და ხე-ტყესა.

ს. ჭალის ახლო-მახლო სხვა და სხვა მადნეულობამაც იჩინა თავი და მომავალში ესეც არ მიეცემა დავიწყებას.

თ. კიკვაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

წარსულს კვირას გაზ. „Н. О.“-ეში დაბეჭდილი იყო ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნის ნ. ნიკოლაძისა საკრედიტო საზოგადოების საქმეთა შესახებ. ავტორის აზრია—აგვიხსნას, რა ჭკუას გვასწავლის ის სამწუხარო ამბავი და სკანდალი, რომელიც შეემთხვა

*) იხ. «ივერია», № 93.

---

ლი თვალში გაუსწოროთ. ხელის მაგიერ ორი თითიც რომ მოგაწოდოთ, დიდი მოწყალება იქმნება მის მხრივ თქვენის სალამის პასუხად.

ახლა თქვენ ამ აგრედ წოდებულ ახლად გამოჩეკილ საზოგადო მოღვაწეებს დამიხედეთ. ვერ გაურჩევიათ მარცხენა ხელი მარჯვენისაგან, არ გაეგებათ არც თავი, არც ბოლო ქვეყნის მაჯის ცემისა, არ ადევნებენ თვალ-ყურს, როგორ უნდა აიდგას ხალხმა საზოგადო ცხოვრებაში ფეხი, რისკენ უნდა ესწრაფებოდეს და რას უნდა არიდოს თავი, ერთის სიტყვით' მტკნარი უვიცობა, პიტალო უგუნურობა ამშვენებს მათს არარაობას, მაგრამ როგორ შეგიძლიან ამისთანა ვაჟკაცებს აკადრო მათი შესაფერი ადგილი! „მე საქართველოს გამბეტა ვარო“, იძახის ერთი, „მე გლადსტონი ვარო“, ყვირის მეორე, ხოლო მესამე თავის-თავს ვაშინგტონზედ ერთის საფეხურით მაინც მაღლა აყენებს. სულ რათა და იმიტომ, რომ პირველმა ერთს საზოგადო კრებაზედ ათი სისულელე წარმოსთქვა ზედიზედ, უსუნთქებლივ და თავმომწონედ, მეორემ საკვირველის სიამაყით დღეს ერთი აბდა-უბდა წამოაქროლა, ხვალ—სხვა, წინაალმდეგი პირველ აბდა-უბდისა, ზეგ კიდევ სულ ერთიან აერია დავთრები და თითონაც არ იცის, რასა ჰბოდავს. ეუბნებით — მაგრეც არ იქმნება, ჩემო მეგობარო: უნდა ერთს რომელსამე გამორკვეულ გზას დაადგეთ, თორემ რასა ჰგავს, რომ დღეს თქვენვე არღვევთ იმას, რასაც გუშინა ჰქადაგებდითო. ამისი პასუხი: „თქვენ არა ხართ ღირსი ჩემის მეგობრობისა—მე საზოგადოების მიერ მოწონებული გახლავართ და თქვენისთანა კერძო კაცები დარიგებას არ უნდა მიბედავდნენ. რაიცა შეეხება აზრის სხვა-და-სხვაობას, გლადსტონიც პირველში კონსერვატორი იყო, შემდეგ გალიბერალდა და აი დღეს თითქმის ერთი ფეხი სოციალისტებში უდგია. არც მე გახლავართ გლადსტონზედ ნაკლები“. მესამეს რა-ღა მიუგავს ვაშინგტონს, ამისას ვერას მოგახსენებთ.

მაგრამ ყველაზედ საცოდავი სანახავნი არიან ჩვენნი მოლექსენი. გარდა თითო-ოროლასი, ყველანი თან გადუტანია ამ საშინელს სენს—განდიდების მადას. დასწერენ, ბატონო, თაგვის კუდის ოდენა ლექსს და ვაი ჯერ მათის ნაცნობების ბრალი, რომელთაც მოაბეზრებენ თავს მის კითხვით, და შემდეგ ვაი საზოგადოების ბრალი, თუ იგი არ დაემხო პირქვე „პოეტის“ წინაშე და არ აღიარა იგი ანუ დანტედ, ანუ მილტონად, ბაირონად, გეტედ, რუსთველად, ანუ ბარათაშვილად მაინც. დგას ასეთი „პოეტი“ სარკის წინ მთელი დღე ტრფის თავის თავს, თავის სიდიადეს, გენიოსობას. მე ბულბული ვარო და თქვენ კი ვირები ხართო, მე პედესტალი, თქვენ-კი—ფურთხიო. ჰკითხულობთ ამისთანა „პოეტის“ ლექსს, სადაც უმეტეს ნაწილად დაცულია რითმა, ავტორს აქა-იქ ეტყობა რაღაც უნარი სიტყვების ხერხიან თამაშისა, თითქო მოიპოვება კიდეც ნამცეცი აზრისა, რომელიც ნემსის ყუნწში თამამად მოთავსდება, მეტი არაფერი. არც ძრიელი სურათი ბოროტისა თუ კეთილისა, რომ ამ სურათმა შეიპყრას მთელი არსება ანუ თუნდა ერთი კუთხე გულისა და რამდენიმე ხანი ღაგრჩეთ იგი სურათი მეხსიერებაში, არც თანდითანობა ხელოვნურის აღწერისა, რომელიც უფრო და უფრო ამძლავრებს აღბეჭდილებას, და არც ერთი ნიშანი ისეთის ნაწარმოებისა, რომელსაც აზის ღვთაებრივი ბეჭედი. მესტვირული შაირია თავიდამ ბოლომდე, და „პოეტი“-კი მაინც მსოფლიო გენიოსებთანა სჭიმავს ფეხსა.

**

საგულისხმიერო ამ „გმირთა“ ქცევაში ის არის, რომ, რაც უფრო დაბალის ღირსებისაა ჩვენი თანამემამულე მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პოეტი თუ პუბლიცისტი, მით უფრო შეუფერებელი წარმოდგენა აქვს თავის ერთ ციცქნა თავზედ, მით უფრო ბეჯითად არის დარწმუნებული, რომ მის ტოლსა და ბადალს მხოლოდ მსოფლიო ისტორია თუ წამოაყენებს, თორემ აწინდელი ცხოვრება ჩვენის ერისა აბა როგორ დაჰბადავს მისთანა გმირს.

აკი ვამბობ, განდიდების მადა ისე მოედო ჩვენს ეგრედ წოდებულ განათლებულ საზოგადოებას, რომ ყოველი მკითხველი ათობით მაინც ჩამოსთვლის საკუთარს ნაცნობებს, რომელნიც შექმნილან მსხვერპლად ამ უცნაურის სენისა. ეს სენი, როგორც მეცნიერება ამბობს, წარმოსდგება სულის ავადმყოფობისაგანაო. მაშასადამე, მაგას მოვლა და პატრონობა სჭირია. ხოლო მოვლა და პატრონობა შეიძლება მაშინ, როდესაც იცი სიგძე-სიგანე ავადმყოფობისა, აშკარადა ჰხედავ სათავეს, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოხსენებულს ბანკს და მის გამგეთა: თ. ნაპ. ამატუნსა და ბ-ნს გარსოევს, რომელნიც დღეს დაპატიმრებულნი არიან.

რაც ამ სკანდალის განჩხრეკით დასასკვნელი აზრია, მარტო ნაპ. ამატუნს არ შეეხება, მარტო იმის თანამოღვაწეთათვის არ არის მხოლოდ საგულისხმიერო.

სულ ორი კვირაა, ამბობს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, რაც თ. ამატუნი ძლევამოსილი გამოვიდა საქალაქო ბანკის წევრთა საზოგადო კრებიდამ. ამ გამარჯვებით ერთი ახალი დაფნის ფოთოლი კიდევ ჩაიწნა და ჩაიგრიხა იმის თავს დადგმულს გვირგვინში. თ. ამატუნი ის—ის იყო ამორჩეულ იქმნა კვლავ „დიდის ხმის უმეტესობით", 45 ხმა მიიღო წინააღმდეგ 4-სა. ის-ის იყო სძლია ყველა თავის მოწინააღმდეგეთა, თავის მტერთა და მბრძოლთა. მხოლოდ ერთმა პატარა დრუბლისნაჭერმა, კიარ დაჩრდილა, უფრო გამოააშკარავა მისი ძლევა-მოსილების ბრწყინვალება: ეს დრუბელი იყო შტკენა აივან-გალერეისა, რომელიც ინტელიგენციით იყო გაჭედილი.

მაგრამ ძლევა-მოსილმა გმირმა ყურიც არ შეიბერტყა ამაზე: იმათ ვინა ჰკითხავთ, ისინი რა მსაჯულნი არიანო. მე მრწამს მხოლოდ საარჩევანო ყუთი, მარტო კენჭები, უმრავლესობაო. ძლევა-მოსილთ განკითხვა არ გაგონილა, ძლევა ყოველსავე განასპეტაკებს, გაალდანებსო.

დიაღ, აი სულ სამი კვირაა ამის შემდეგ. ამ სამ კვირის განმავლობაში, ვგონებ, საკმაო დრო ჰქონდა თ. ნ. ამატუნს დაჰფიქრებოდა მეტეხის საპატიმროს მარტოობაში თავის მდგომარეობას და დარწმუნებულიყო, რომ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც, რომ ზოგიერთის გამარჯვებისაგან ღმერთმა ჩემი მტერიც-კი დაიხსნას, რომ ძლევა-მოსილთ არა იშვიათად განიკითხავენ ხოლმე და მერე ისიც რა სისასტიკით!.. ვინც ისტორია კარგად იცის, კარგად ეხსომებათ, რომ ტარპეის კლდე და კაპიტოლი განუშორებელნი არიან, რომ მწვერვალზე მხოლოდ იმას შეუძლიან გამაგრდეს, ვინც მტკიცეა, შეუმდრკალი, მალონე განწონილი.

არ იფიქროთ, გვეუბნება ბ-ნი ნიკოლაძე, რომ მე ნიშნს ვუგებდე თ. ამატუნს. არა, მე დიდად მებრალება ის კაცი, რომელსაც ნიჭი არ აკლდა, ღონე ჰქონდა. ვსწუხვარ მხოლოდ, რომ ამ ძალღონემ უკეთური მიმართულება მიიღო და მრუდე გზას დაადგა მისი პატრონი. ამის მიზეზი, თვით მრუდედ მიმართული ნიჭ-ხასიათს გარდა, უნდა ვეძებოთ საზოგადოებაშიაცა, მის ზნესა და მიმართულებაშიაცაო.

რაც უფრო უმეცარია და გაქვავებ-გაკლდევებული საზოგადოება, მით უფრო დიდი ნიჭი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ მაღალი ადგილი დაიჭიროს. მარტო დიდ-ბუნებოვან და გენიოს კაცებს შეუძლიანთ იცხოვრონ საკუთარის ცხოვრებით, იარონ საკუთარის გზით და არ გადუხვიონ გზასა მართალსა. მაგრამ ამისთანანები ცოტანი არიან და ჩვენში ხომ თითქმის სულ არც-კი მოიპოვებიან. უმეტესობა-კი ისე იქცევა, ისე ცხოვრობს, როგორც საზოგადოება, გარემო ვითარება აგონებს, თხოულობს.

რაც უფრო განათლებულია საზოგადოება, მით უფრო ადვილია ნიჭიერის მოღვაწესათვის დაადგეს მართალს, ჭეშმარიტს გზას, მით უფრო ადვილია კანონიერის ღონისძიებით მოიპოვოს გავლენა, ძლიერება, პირველობა. გაუნათლებელ საზოგადოებაში, სადაც გზის გაკვლევას წინ ეღობება ჩამომავლობა, სიმდიდრე, ნათესაობა, ნათლი-მამობა—მეთაურობას შოულობს მხოლოდ დიდად წარმატებულის გონების კაცი. რაც უფრო განათლებულია და გულ-წმინდა, ზნეობა მაღალი საზოგადოება, მით უფრო გამსჭვალულია იმ აზრით, რომ მოთავედ უნდა იქმნან მხოლოდ ნიჭიერნი, გონება-ბრწყინვალე კაცნი, მოწოდებულნი, რჩეულნი, რადგანაც მარტო მათი ღვაწლით, პოეტისა არ იყოს, ნაყოფიერი, მარტო მათის ღვაწლით არს ქვეყანა დამშვენებული!

ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ განათლებულ ქვეყნებში ბუნებივით ირევიან ყველა შესამჩნევ უწყებაში კაცნი ნიჭიერნი, რჩეულნი, გონება-წარმატებულნი, მაშინ როდესაც გაუნათლებელ, ბეჩავს ქვეყანაში მეთაურებად არიან ან გონება-ჩლუნგნი, ან ნიჭს არ მოკლებულნი, მაგრამ განუვითარებელნი, უკუღმართ გზაზე დამდგარნი, ხშირად მავნებელნი, როგორც ქვეყნისათვის, ისე თავიანთ თავისათვისაცაო.

გაუნათლებელს საზოგადოებაშიაც იქნება ნაკლებ არ არიან ნიჭიერნი, მაგრამ ერთგან ამისთანებს თავს ევლებიან, ამაღლებენ და ათაყვანებენ, მეორეგან-კი ან სთრგუნავენ, ფეხ-ქვეშ სთელავენ, ან აუკეთურებენ, აუკუღმართებენ უგუნურობით, თავიანთ სარგებლობის გაუგებრობითაო.

განათლებულნი ერნი ახერხებენ და ყოველს ნიჭიერს კაცს შესაფერს საქმეს შეურჩევენ ხოლმე, მაშინ როდესაც გაუნათლებელნი ვერც-კი ამჩნევენ, ნიჭიერი კაცი როგორ იღუპება, ხურდავდება და ყოველ-გვარ სისაძაგლეს ალევს თავის ძალ-ღონეს.

წერილის ავტორის აზრით, ყოველგვარნი მოხერხებულნი და ცბიერნი მოჭახრაკენი ჩნდებიან მაშინ, როცა ქვეყანა ის-ის არის იღვიძებს, ფხიზლდება, როცა ძველებური წეს-წყობილება ირყევა და ჯერ ახალი კარგად არ არის დამყარებული; ერთის სიტყვით, როცა ცხოვრება დუღილშია და ჯერ-კი არ დადუღებულა. ამისთანა ვაჟბატონებს ჰგონიათ, რომ ქვეყნის მოტყუება, ყინულზე გაცურება, ხალხის თვალების აბმა ძალიან ადვილიაო; რომ ქვეყანას განაგებს მხოლოდ ცბიერობა, რომ კანონი, უფლება, ჭეშმარიტება, გონება, თავისუფლება სულ ცარიელი სიტყვებია, მოგონილი იმიტომ რომ გულ-დანდობილს ხალხს თვალი აუბანო; რომ გამარჯვების ღერძი ხერხია და გაბედულობაო. იმათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ მთელს საზოგადოებაში შეიძლება გამოჩნდეს ვინმე ისეთი, რომელიც გამოააშკარავებს ყოველს უჯერობას, უკადრისობას, მიუხვდება ცბიერებას და დაჰფუშავს ტყუილითა და ცილისწამებით გამბულს ქსელს.

ამისთანა ვაჟ-ბატონები მუდამ ქარაფშუტა ბუნებისანი არიან, ნაკლებად მომზადებულნი, რომელთა გონება შეჩერებულა ერთს წერტილზე და ვეღარ ჩაჰკვირვებია ღრმად ცხოვრების აზრსა და მნიშვნელობას. მხოლოდ უკეთესნი კაცნი რწმუნდებიან ამ დროს, რომ ქვეყანას განაგებს დაურღვეველი კანონები ბუნებისა, რომ უფლება და სამართალი ზღაპარი არ არის, ან ბადე, გულ-უბრყვილოთა გასაბმელად მოგონილი, რომ ცბიერება მხოლოდ უგუნურთა ჭკუაა, რომ ხერხი დღეს გამოდგება, სვალ და მერე მშვიდობით; რომ ერთად-ერთი ღირსეული გზა, რომელიც მტკიცე გამარჯვებას ანიჭებს კაცს, არის გზა პატიოსანის გარჯისა და შრომისა მოსაპოვებლად და განსახორციელებლად საერთო, საყოველთაო სარგებლობისა.

განათლებულ ქვეყნებში მრუდე გზაზე დამდგარს ნიჭიერს მოღვაწეს მაშინვე კვალში ჩაუდგებიან, ლაგამს ამოსდებენ ხოლმე პირში და ეს გარემოება ბევრს სხვასაც აფრთხილებსო.

როცა საფრანგეთში 1873 წელს, ბროლიის მთავარ-მინისტრობის დროს, სახელოვანს საერო განათლების მინისტრს და პატივცემულს არხეოლოგს ბიოლეს შეამჩნიეს და დაუმტკიცეს, რომ განზრახვა თურმე ჰქონდა მოესყიდნა გაზეთები, ასეთმა საზიზღარმა ფარხმალის მიმართვამ ისე აალელვა მთელი ინტელიგენცია, რომ ბიოლემ თავის მოკვლის მეტი უკეთესი ვეღარა მოასერხა-რა. ბულანჟემ მიჰმართა უკადრისსა და უზნეო ღონისძიებათ. ამის გამო ისეთი ძლიერი იყო საყოველთაო ზიზღი და მძულვარება მის მიმართ, რომ გენერალმა ვეღარ გაუძლო ამ ზიზღს და თავი მოიკლა. სულ მცირეოდენმა უხერხულობამ გამოასალმა მინისტრობას, იქნება სამუდამოდ, ისეთი პირველხარისხოვანი და ნაცადი მოღვაწე, როგორიც იყო ფრეისინე ან რუვიე.

## უცხოეთი

**გერმანია.** რეიხსტაგის უკანასკნელ კრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბებელისა და რიხტერის სიტყვებმა. რიხტერმა თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

მას შემდეგ, რაც კანცლერმა კაპრივიმ განაცხადა, რომ მთავრობა გიუნეს წინადადებაზედ დათანხმდა, ჩვენც მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია, რომ ეს წინადადება განვიხილოთ. რა შეღავათს გვპირდება გიუნეს კომპრომისი? გარდასახადს შევამცირებთო. მერე რამდენად უნდა შეამცირონ ეს გარდასახადი? ზოგი ამბობს—$1/_6$-დზედ და ზოგიც ამტკიცებს—$1/_8$-ზედაო. კიდევ რას გვპირდება გიუნე? ჯარის კაცთ პირველ ხუთის წლის განმავლობაში სამსახურის ვადას შევუმცირებთო. რას ნიშნავს დეპუტატის გიუნეს ეს ვითომ და ახალი წინადადება? ჩემის აზრით, დეპუტატმა-კი არ დაუდო ახალი პირობები ბ-ნს კანცლერს, არამედ თვით კანცლერმა მოიწადინა ცოტაოდნად შეცვლა კანონ-პროექტისა, რადგანაც დარწმუნებილი იყო, რომ კანონ-პროექტს რეიხსტაგი არ დაამტკიცებს. მერე რატომ არ დასთანხმდებოდა კანცლერი მცირეოდენ შეღავათზედ, როცა კარგად იცოდა, რომ კანონ-პროექტის განხორციელება ამ ჟამად სრულიად შეუძლებელია.

კანცლერმა სთქვა: პარლამენტს ჯერ შეგნებული არა აქვს კანონ-პროექტის საჭიროებაო. რას ნიშნავს ეს სიტყვები? ნუ თუ პარლამენტი მოვალეა ისე მოიქცეს, როგორც გენერლები ბრძანებენ? არ ვიტყვი, სთქვა რიხტერმა, რომ ჩვენმა გენერლებმა თავიანთი საქმე ზედ მიწევნით არ იცოდნენ და ამასთანავე პატიოსნებით არ იყვნენ გამსჭვალულნი; ხოლო რამდენად მეტად უყვართ გენერლებს თავისი ხელობა, იმდენად მეტს ითხოვენ გერმანიის ჯარისთვის. ჩვენ იმდენად გვჯერა ამ გენერლების სიტყა და იმდენად ვეთანხმებით მათ აზრსა, რამდენადაც შესძლებენ თავიანთ აზრის დასაბუთებას. კანცლერი გვეუბნება: გენერლების აზრით უნდა იხელმძღვანელოს პარლამენტმაო. თუ ასეა, მაშინ მსაჯულთ უნდა მიეცეთ უფლება კანონების შეცვლისა, პროფესორებს სწავლა-განათლების მართვა-გამგეობა და სხვა. კანცლერის აზრით, გერმანიისთვის ისე არაფერია საჭირო, როგორც ჯარის გაძლიერება. ხოლო ერი ასე სჯის: ერისთვის ჯარის გარდა კიდევ ბევრი სხვა რამ არის საჭირო. კაპრივის აზრით, ჩვენი საქმე ხოლო ის არის, რომ ახალი გარდასახადი შემოვიღოთ. მადლობელი გახლავართ. მაგრამ უკეთესი-კი იქმნებოდა, რომ ეს საქმე კანცლერმა პარლამენტს-კი არ ჩააბაროს, არამედ ხარჯის მკრეფავ ინსპექტორებსა.

კანცლერი ისე ლაპარაკობს, თი-

---

იდგანაც წარმომდინარეობს იგი, და შეგნებული გაქვს საშუალება, რომლითაც სათავეშივე მოსწყვეტ სენსა. ჩვენ ხშირად ჩავუფიქრებივართ ამ განდიდების მადის გაღვიძებას ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ, რასაკვირველია, გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, როგორ და საიდგან წარმოსდგა ეს სენი, საიდგან დაგვრია ხელი. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მოსაზრებას-კი განვუზიარებთ მკითხველს და, რამდენად საფუძვლიანი გამოდგება ჩვენი მოსაზრება, მაგისი გარდაწყვეტა მკითხველისთვის მიგვინდვია.

გამოჩენილ კაცთა ცხოვრება გვასწავლის, რომ რამდენადაც ადამიანი დიდ-სულოვანია, დიდის ნიჭის პატრონი და, რაც უფრო თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის წინაშე თავის სამშობლოსი, ანუ წინაშე მთელის კაცობრიობისა, იმდენად ამისთანა ადამიანს ნაკლებ უფიქრია თავის საკუთარ ღირსებაზედ, იმდენად მცირე ჰქონია ხალისი თავის თავზედ ბასისა, ხოლო თავის ქება და დიდება, ბუკი და ნაღარა თავის ნიჭიერების გამო ფიქრადაც არ გაუტარებია გუნებაში არასოდეს. ამასთანავე შესწავლა ქონდრის-კაცების ცხოვრებისა გვაჩვენებს, რომ ეს კაცუნები, განდიდების მადით გატაცებულნი, სულ იმის ფიქრში ყოფილან, რომ თავიანთი თავი ხალხს მართლა კაცებად მოაჩვენონ და, თუკი შესაძლებელი იქმნება, დიდებულ, სახელოვან კაცებადაც. მათი დაუშრეტელი წადილი ის არის, რომ ყველანი მათს ღირსებას უბნობდნენ და სხვა სალაპარაკო აღარა ჰქონდეთ-რა. თქვენ რომ ზამთრის გასულს ქორფა, მწვანე კიტრი დაასახელოთ, ასეთი კაცუნა, თუ იგი საზოგადო მოღვაწეებში სთვლის თავსა, გაგაწყვეტინებთ სიტყვას და მოგიყვებათ: „მწვანე კიტრი-კი არა, მე სწორედ ისეთი სამსახური გავუწიე გუშინ საქართველოს, რომ თვით გლადსტონი მოიწონებდა მითი თავსაო. მაინც ჩვენ, მე და გლადსტონი, სწორედ ერთ გზას ვადგევართ, და ბევრი ხანი არ გაივლის, რომ მთელი ქვეყანა ჩემზედაც იმდენს ილაპარაკებს, რამდენსაც გლადსტონზედა ლაპარაკობსო, და მერე ხომ თვით გლადსტონსაც დაავიწყებს ჩემი გენიოსობა ქვეყანასარა, გლადსტონსაც დასჩრდილავსო. მე... ჰუჰუ... მე... მეო..."

**

როგორა გგონია, მკითხველო, ამისთანა ლაპარაკი ვის შეჰფერის? თქვენ იტყვით—საგიჟეთის მკვიდრსაო. პასუხი მხოლოდ ერთის მხრივ არის მართალი. უეჭველია, რომ აქ სულის ავადმყოფობა მუშაობს. მაგრამ არც ისეთი მძლავრი ავადმყოფობა, რომ საგიჟეთში გაჰგზავნოთ ეს ქონდრის კაცი. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთს სიტყვა-პასუხს მეორე მხარეცა აქვს და ეს მხარე გახლავთ უმეცრება. ქონდრის კაცი ჰხედავს, რომ გლადსტონი ქვეყნის სალაპარაკო და საქები შექმნილა. რა კარგი იქმნებოდა, რომ მეც ასეთი საქები მოღვაწე შევიქმნეო. აი სათავე განდიდების მადისა. ახლა როგორ უნდა გადახალასდეს კაცუნა კაცად, თანაც სახელოვან კაცად? დაწინაურებულ ქვეყანაში ამისი გზა გარკვეულია. იქ ყველამ იცის, რომ სახელის მოსაპოვებლად განუწყვეტელი შრომაა საჭირო. იქაური კაცუნაცა შრომობს, იღწვის, კვალში უდგა ცხოვრებას. თუ მართლა რამ უნარი გამოაჩნდა, ხომ სახელსაც მოიპოვებს, არა და—სურვილი დაფარულად დარჩება, საფლავში გაჰყვება. სულ სხვაა ჩვენის ქვეყნისათანა დავრდომილი და უმეცარი ქვეყანა. ჩვენ სურვილი დიდი გვაქვს და უვიცობა გადაჭარბებული. არც ჩვენებურმა კაცუნამ იცის, რა უნდა შეიძინოს სახელის მოსაპოებლად, და არც საზოგადოების უმრავლესობას ესმის, როგორი ღირსება უნდა მოუძებნოს საზოგადო მოღვაწეს. ორივეს ხომ მარტო ყური კი მოუკრავთ გლადსტონის სახელისათვის, თორემ მისის ღვაწლისას მაგდენს ვერას შეგატყობინებენ.

„ჰო-და-რა, მე და ჩემმა ღმერთმა, რას დაუკერებიათ ენაზედ ეს გლადსტონიო, ეს გამბეტაო, ეს ვაშინგტონიო, ეს ბაირონიო, როდესაც აი ჩვენი მეზობლები გლადსტონსაც გადაახტებიან თავზედ, ვაშინგტონსაც, ბაირონსაც და გეტესაცაო."

ასეთი გახლავთ უმრავლესობა ჩვენის საზოგადოებისა და ასეთნი არიან მისნი გმირთა-გმირნიც. „ფერი ფერსა—მადლი ღმერთსა." მაშასადამე, სათავე აღნიშნულის სენისა—განდიდების მადისა—გახლავთ პატივსადები სურვილი სახელის მოხვეჭისა. აქ საძრახისი არა არის-რა. გზა, რომელსაც დაადგნენ ჩვენი კაცუნები ამ სურვილის მისაღწევად, არის თავის თავის დაუღალავი ქება. ამას-კი, ხელიც რომ მომჭრათ, ვერ ვაქებ. ეს საკადრისი საქციელი არ არის, თუმცა-კი ჩვენისთანა უმეცარ საზოგადოებაში მოსახერხებელია, რომ ქონდრის კაცი წამოგჭიმონ ალექსანდრე მაკედონელის მხარ-და-მხარ...

სანო

თქოს გერმანიას აქამდე ფიქრადაც არ მოსვლია თავის ჯარის გაძლიერება. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ 1871 წლის აქეთ ჯარის გასაძლიერებლად $12^1/_2$ მილიარდი დიხარჯა.

განა მე არ ვეთანხმები კანცლერს, განაგრძო რიხტერმა, რომ, რამდენადაც მეტი ჯარი გვეყოლება, იმდენად კარგია იმპერიისათვის, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, შეგვიძლიან ამ ჯარის შენახვა, თუ არა? კანცლერს რომ ყური დავუგდოთ, შეიძლება ერთის პროექტის მაგიერად ორი პროექტიც დავამტკიცოთ. განა არა სჯობს სახელმწიფოსთვის—200 ათასი ჯარის კაცი იყოლიოს, ვიდრე 100 ათასი? ორასი ათასი ხომ მეტია ას ათასზედ!

ბ-მა გიუნემ სთქვა: რაღაა თქვენი პატრიოტობა, თუ კაცს თოფს არ აძლევთ ხელში და კეტითა გზავნით მტერთან საომრადაო? ეხლა ვკითხოთ ბ-ნს გიუნეს: რას უშველის თოფი იმ კაცსა, რომელსაც არც ტანთსაცმელი აქვს, არც ფეხ-საცმელი და რომელიც სიმშილით არის დასუსტებული.

როცა რიხტერმა ეს სიტყვები სთქვა, მემარჯვენეთა და ნაციონალლიბერალთა შორის დიდი ჩოჩქოლი ასტყდა; დაიძახეს: ეგ ხომ უკადრისი საქციელია!

კარგად იცოდეთ, რომ, თუ გარდსახადს კიდევ მოუმატეთ, ერი ვეღარ შესძლებს სამშობლოს დაცვას. კანცლერმა სთქვა: საზღვარ გარედ მყოფ გერმანელებს ძლიერ უკვირთ, რატომ არ ამტკიცებს რეიხსტაგი სამხედრო კანონ-პროექტსაო. ჩემის აზრით, იმ გერმანელთ, რომელნიც თავის სამშობლოში იმყოფებიან, ამ საქმეში ცოტა მეტი გაეგებათ, ვიდრე იმათ, ვინც სამშობლოს დაშორდნენ. გარდა ამისა, გავკადნიერდები და ვკითხავ კანცლერს, რად წასულან საზღვარ გარედ ის გერმანელნი, თუკი თავიანთ სამშობლოშიაც ჩინებულად სცხოვრობდნენ? კანცლერმა ბრძანა კიდევ: უცხოელებსაცა სურთ სამხედრო კანონ-პროექტის დამტკიცებაო. ამაზედაც ვიტყვი: ჩვენ ჩვენის საქმისა უფრო მეტი ვიცით, ვიდრე უცხოელებმა. კანცლერმა ბრძანა კიდევ: თუ ის გარდასახადი არ მოგწონთ, რომელსაც მე გთხოვთ, სხვა იყოს; ჩემთვის სულ ერთია, საიდგანაც უნდა შევკრიბო ორმოც-დახუთმეტი მილიონიო. დიაღ, გვჯერა კანცლერის სიტყვა: რასაკვირველია, სულ ერთია. (სიცილი და ტაშის ცემა). კანცლერი დასთანხმდება, რომ ლუდის მაგიერად, ღვინოს მოუმატონ ბაჟი, ღვინის მაგიერად—თამბაქოსა. კანცლერი იმასაც დასთანხმდება, რომ შემოსავალის დაგვარად გარდასახადს მოუმატოს. მაგრამ რას იტყვიან კომერციის სოვეტნიკები, რომელთაც ასე უცბად აღეძრათ გულში სურვილი ჯარის გაძლიერებისა, შემოსავალის კვალობაზედ გაწერილს გარდასახადს, სამხედრო კანონ-როექტის განხორციელებისთვის რომ კიდევ $60^0/_0$ მოუმატონ? (სმენა იყოს, სმენა.) რას იტყვის თვით მინისტრი მიკელი? (სიცილი).

კაპრივიმ ბრძანა კიდევ: კონსერვატორები მზად არიან გიუნეს კომპრომისი შეიწყნარონ. ეს ამბავი მე სრულიად არ მაკვირვებს. კონსერვატორები მუდამ თანაუგრძნობენ ახალის გარდასახადის შემოღებას. მაგრამ ერი მხოლოდ მაშინ ეტყოდა მადლობას ამ კონსერვატორებსა, თუ ვინიცობაა თითონ იკისრეს ეს ახალი გარდასახადი. იქნება მდიდარ მემამულეთ სახელმწიფოს შესწირონ ის ორმოცი მილიონი, რომელიც ჩაჯიბეს არაყის ახალ ბაჟის წყალობით? (მარჯვნივ ჩოჩქოლია). ბატონებო, თუ ასე ძლიერა გნებავთ სამხედრო კანონის დამტკიცება, მოიჩხრიკეთ ჯიბეები, შესწირეთ სამშობლოს ეს მცირეოდენი მსხვერპლი და მაშინ მეც თქვენ მოგემხრობით! (კონსერვატორთა შორის დიდი ჩოჩქოლია).

რიხტერმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: ამ ჟამად გერმანიის ერის პროგრამა შემდეგია: არ გვინდა ახალი გარდასახადი, არ გვინდა ახალი ჯარი, არ გვინდა პოლიციის კანონები.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ბ-ნ გ. თ. იოსებ ჰყლესძე კაკაბაძეს და თ. სახოკიას, რომლებმაც შემოსწირეს გურიის წიგნთსაცავს შემდეგი წიგნები: პირველმა (ბ. კაკაბაძემ)—თ. ი. ჭავჭავაძის თხზულება II და IV ტ. ა. ყაზბეგის თხზულება—ოთხივე ტომი, ა. ფურცელაძისა—„ბრძოლა“ და „მაცი ხვიტია“ მელანიასი—„ბნელი“, ე. ნინოშვილისა „რამდენიმე მოთხრობა“, ი. დავითაშვილისა—ლექსები, აკაკისა—კრილოვის არაკები, „ბადიგი“, ნათარგმნი ა. ნ., „დეკამერონი“, „ზანგის სამკვიდრო“, ნათარგმნი დ. წ., „მოლა მასრადინის ამბები“. „მეველე“ ს. მგალობლიშვილისა, ჭავჭავაძისა—სამი წიგნი (ლექსები), კედლის ქართული კალენდარი, „სამი ცეცხლი“ შ. დადიანისა და „დედა-ენა“; მეორემ (თ. სახოკიამ)—„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვ. ჰიუგოსი, ნათარგმნი თ. სახოკიას მიერ, „უმანკო“ კოლტერისა, ნათარგმ. თ. ს., „მეფე დავით აღმაშენებელი“, „დემონი“, პოემა ლერმონტოვისა, ნათარგმნი თაოზელისა, „ქაჯანა“, მოთხრ. ნ. ლომოურისა, რამდენიმე ლექსი ცახელისა, „ქართველი ქალები“ ისტ. მიმოხ. დ. ბაქრაძისა, სახელმძღვანელო აბრეშუმის ჭიის მოყვანისა, ალოიზისა (ნათარ.)

გურიის წიგნთ-საცავის დამაარსებელი ამხანაგობის წევრი

ს. ჯ.

---

# დეპეშა

4 მაისი

**პარიჟი.** შაბათს პრეზიდენტი კარნო ლვიძლის ანთებით გახდა ავად.

სოფიიდგან დეპეშით იუწყებიან: „გუშინ დაიწყო საერო კრება. პრინცმა ფერდინანდმა წარმოსთქვა სიტყვა და აუწყა კრებას, რომ იგი მოწოდებულია გარდასწყვიტოს ფრიად საჭირო და არსებითი საგნებიო. ამას პრინცმა დასძინა: ჩემისქორწინებით არსდება საეროვნო დინასტია, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ქვეყნის ბედ-იღბალსა და მერმისსაო.

**ამსტერდამი.** ნიდერლანდის ბანკმა დისკონტი $2^1/_2{}^0/_0$-დგან $4^0/_0$-მდე ასწია.

**ლონდონი.** ლონდონის გაზეთები დიდად შეფიქრებულნი არიან ავსტრალიის საფინანსო კრიზისის გამო. კრიზისი თანდათან ძლიერდება: გაკოტრებულ ფირმების ვალი აღრიცხულია 99 მილიონ. გირვანქა სტერლინგამდე. „Standard“-ი ამტკიცებს, რომ კვინსლანდის მთავრობა ვერ შეიძლებს სარგებელი გადაიხადოს იმ ფულისა, რომელიც სესხად აქვს აღებულიო.

5 მაისი

**პარიჟი.** პრეზიდენტი კარნო თანდათან რჩება.

გუშინ პარიჟის განაპირა უბნებში დააპატიმრეს 5 ანარქისტი, რომელთაც მოასწრეს ასაფეთქებელ იარაღის მომზადებაზედ. ჰგონებენ, რომ კიდევ საჭირო იქმნება ბევრ სხვათა დაპატიმრებაცაო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,69}$ | $7_{,72}$ / | — ,, |
| ტფილისის კუპონები . | $163^3/_4$ | $154^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | $1_{,06}$ | — ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $244^1/_4$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221^1/_2$ |
| $4^0/_0$ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | $99^5/_8$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| $6^0/_0$. . . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$. | — ,, | 101 | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | $95^1/_2$ | — ,, |

---


# განცხადებანი

**უწერის მჟავე წყალი**

(რაჭა, ქუთ. გუბ.)

სოფ. უწერას ახლად გაიმართა თავის მოწყობილობით სუფთა ოთახები სამზარეულოთი; მზადდება ევროპეული და ჩვენებური საჭმელები. ფასი იაფი.

---

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—52)

---

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ქრისტინე**

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**,

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

---

**პირველი კერძო საავადმყოფო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათ სქესისა.

ი. ф. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი საავადმყოფოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—29) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

---

**საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება**

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—21) აგენტი დ. ქ. თუთაევი

---

**რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი**

(**ძირის ფული 1.000,000 მან.**)

ისყიდება $5^0/_0$-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თთვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—19) აგენტი დ. ქ. თუთაევი.